შპს გაგუას კლინიკა

წლიური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნები

2019 წელი

bakertilly

ზოგადი სარჩევი

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება ..... A

2019 ფინანსური წლის მმართველობითი ანგარიში i

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 14

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე 14

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე 16

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება

წინამდებარე 2019 წლის წლიური ანგარიში: მმართველობითი ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა) და ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს „გაგუას კლინიკის“ ხელმძღვანელობის მიერ:

თანამდებობა	სახელი, გვარი, ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	ბ.-ნი დავით გაგუა _____	4 სექტ., 2020 წელი

გაგუას კლინიკა

მმართველობის ანგარიში

2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 31 დეკემბერი

თბილისი, 2020

შინაარსი

- ინფორმაცია კლინიკისა და მისი საქმიანობის შესახებ
- კლინიკის შიდა სტრუქტურა
- საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა
    - საქმიანობის მიმოხილვა
    - კლინიკის მოკლე ისტორია
    - კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურებები და საქმიანობის ძირითადი არაფინანსრუი მაჩვენებლების მიმოხილვა
    - კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები
- ბიზნეს მოდელი
- სამომავლო გეგმები
- წარმატების კრიტიკული ფაქტორები
- რისკ ფაქტორების მიმოხილვა

ინფორმაცია კლინიკისა და მისი საქმიანობის შესახებ

დაწესებულების სრული დასახელება	შპს გაგუას კლინიკა
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201945271
იურიდიული მისამართი	ნ.ჯავახიშვილის ქუჩა #6ა, თბილისი 0159
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი	#2/4-1177, 24/02/1997წ
საკონტაქტო ტელეფონი	2532221; 593 140 444
ელ.ფოსტა	info@gaguaclinic.ge
ვებ-გვერდი	www.gaguaclinic.ge
გენერალური დირექტორი	დავით გაგუა
საქმიანობის სფერო	- სამშობიარო სახლების საქმიანობა (85.11.2) - საავადმყოფოების საქმიანობები (86.10.0) - სტომატოლოგიური პრაქტიკა (85.13)

კომპანიის შიდა სტრუქტურა:

შპს გაგუას კლინიკა. კლინიკა წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტს.

კლინიკა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. კლინიკა საქმიანობას ეწევა საქართველოს კანონმდებლობისა და შპს-ს წესდების შესაბამისად. კლინიკის შიდა სტრუქტურა იხილეთ ქვემოთ (სურ. 1).

შპს „გაგუას კლინიკა“
მმართველობის ანგარიში
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

სურათი #1



ნ.ჯავახიშვილის 6ა
Tel: 253 22 21
E: info@gaguaclinic.ge

საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა

საქმიანობის მიმოხილვა

შპს გაგუას კლინიკის საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა. კლინიკა მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ სააგენტოს უფროსის 2017 წლის 26.12. N 02-2431/ო ბრძანებისა და საფუძველი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის 21 დეკემბრის N 420/ნ ბრძანების საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული საქმიანობის წარმართვის სანებართვოს მოწმობა #000887, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობას 11 სანებართვოს მოწმობის დანართის ფარგლებში:

1. სამეანო – ნეონატალური საქმიანობა (სან. მოწ. დანართი #005020);
2. გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა (სან. მოწ. დანართი #005019);
3. ქირურგიული პროფილის საქმიანობა (სან. მოწ. დანართი #005018);
4. ონკოლოგია (სან. მოწ. დანართი #005024);
5. რეანიმაცია (სან. მოწ. დანართი #005021);
6. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება /Emergency/ (სან. მოწ. დანართი #005122);
7. რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა (სან. მოწ. დანართი #005022);
8. ლაბორატორიული საქმიანობა – კლინიკური დიაგნოსტიკა (სან. მოწ. დანართი #005025);
9. ლაბორატორიული საქმიანობა – ბიოქიმიური დიაგნოსტიკა (სან. მოწ. დანართი #005026);
10. ლაბორატორიული საქმიანობა – იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა (სან. მოწ. დანართი #005027);
11. ახალშობილთა ინტენსიური მოვლა NICU (სან. მოწ. დანართი #005023);

გაგუას კლინიკა თავის საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: თბილისი, 0159, დიღმის მასივი; ნ. ჯავახიშვილის ქ. #6ა, ფილიალების გარეშე.

კლინიკის მოკლე ისტორია:

გაგუას კლინიკა დაარსდა 1996 წელს, როგორც პირველი კერძო სამშობიარო კლინიკა ქვეყნის მაშტაბით. დაარესბის დღიდან კლინიკის გუნდის მთავარი მიზანია კომფორტულ გარემოში პაციენტებმა მიიღონ მაღალი დონის სამედიცინო სერვისი. მუდმივი ზრუნვა პაციენტებზე ორიენტირებული გარემოს სრულყოფისათვის კლინიკის განვითარების ეტაპებზე ტრადიციად იქცა და 2017 წელს კლინიკამ გადაინაცვლა თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით აგებულ ახალ შენობაში. ამჟამად კლინიკას აქვს 6 ფუქნციური სართული და 2 სართული პარკირებისათვის. G სართულზე განთავსებულია კაფე, სალექციო დარბაზი, მოსაცდელი ტერიტორია და რესეპშენი. სართული 1 უკავია ამბულატორიულ სამსახურს, სადაც შესაძლებელია ორსულისა და გინეკოლოგიური პაციენტისათვის ყველა სახის ამბულატორიული სერვისის მიღება, ასევე ამ სართულზე განთავსებულია უახლესი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია, ულტრაბგერის აპარატები და სტომატოლოგიური კაბნეტი. მე-2 სართული ეთმობა პედიატრიულ სამსახურს და ადმინისტრაციას. მე-3 სართულზე განთავსებულია ორი განყოფილება: ორსულთა პათოლოგიისა და გინეკოლოგიის დეპარტამენტი და ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტი.

მე-4 გამოყოფილია მელოგინე დედებისა და ახალშობილებისათვის, ხოლო მე-5 სართულზე განთავსებულია თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი 4 საოპერაცი ბლოკი და 10 სამშობიარო ბლოკი, ასევე პრე- და პოსტოპერაციული განყოფილება და ანასეთეზიოლოგიური სამსახური.

შენობა აღჭურვილი თანამედროვე სავენტილაციო სისტემით, ცენტრალიზირებული წყალმომარაგებითის, ელექრო მომარაგების, გათბობის და კონდიცირების ცენტრალიზებული სისტემით და გააჩნია ავტონომიური დენის წყარო. სამედიცინო მოსახურების უწყვეტობის შენარჩუნებისა და პაციენტთა უსაფრთხოების მიზნით, კლინიკას ასევე გააჩნია დენის და წყალმომარაგების ალტერნატიული და სარეზერვო წყაროები.

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურებები და საქმიანობის ძირითადი არაფინანსრული მაჩვენებლების მიმოხილვა

კლინიკა უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურების მიწოდებას: სამეანო-გინეკოლოგიური დახმარება, პედიატრიული მომსახურება, ახალშობილთა ინტენსიური თერაპია, ლაპარატომიური და ლაპარასკოპიული ქირურგია, სამედიცინო გენეტიკა, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, კლინიკო-ლაბორატორიუი გამოკვლევების ფართო სპექტრი, სტომატოლოგიური დახმარება, ასევე საინფორმაციო-საგანმანათლებლო სერვისები (მშობელთა სკოლა).

სამედიცინო დახმარება ხორციელდება უახლესი სამედიცინო აპარატურით, მათ შორის: კლინიკა თანამშრომლობს სამედიცინო აპარატურის ისეთ ცნობილ მწარმოებლებთან, როგორიცაა კარლ შტორცი, ჰუმანა დიაგნოსტიკს, GE , Philiphs, Draeger და სხვა.

კლინიკა თანამშრომლობს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან, რომლებიც კლინიკას მაღალი ხარისხის ფარმაცევტულ პროდუქციასა და სამედიცინო დანიშნულების საგნებს აწვდიან. გაგუას კლინიკა აწვდის სამედიცინო სერვისს როგორც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარების, ასევე წარმოადგენს სადაზღვეო კომპანიების „იმედი-L”, „არდის“, „ირაოს“ და სხვა ყველა ძირითადი სადაზღვევო კომპანიების პროვაიდერს.

2019 წელს კლინიკის ამბულატორიულ სერვისს მიმართა 36566 პაციენტმა, სტაციონარში ჰოსპიტალიზირებული იყო სულ 6557 პაციენტი (2018 წელს - 5888 პაციენტი) .
2019 წელს სტაციონარში სულ ჩატარდა 2360 ოპერაცია (2018 – 2111); ამბულატორიულ სექტორში ქირურგიული/ინსტუმენტული ჩარევა 2019 წელს სულ - 1331 (2018 – 826).

2019 წელს კლინიკის მიერ მიწოდებული სამეანო სერვისების წილი სამედიცინო ბაზარზე თბილისში საშუალოდ შეადგინა - 21,2 %, ხოლო საქართველოში - 10,1 % (NCDC).

2018 წლის ოქტომბერში, „პერინატალური სამსახურის რეგიონალიზაციის დონეების და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ #01-2/ნ ბრძანების შესაბამისად კლინიკის შეფასების შედეგად გაგუას კლინიკას მიენიჭა პერინატალური რეგიონალიზაციის II/III დონე; კლინიკა ასევე მონაწილეს მაღალი რისკის პაციენტებისთვის სერვისის გაწევის პროგრამაში.

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს ეროვნული და საერთაშორისო პროტოკოლებით (WHO, RCOG, ACOG); კლინიკის ექიმები ჩართულები არიან უწყვეტი სამედიცნო განათლების პროგრამებში და გავლილი აქვთ კანონმდებლობით განსაზღვრული მოდული. ექიმებისა და რეზიდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა პროფესიული ინტერნეტ რესურსები,მათ შორის UpToDate.

კლინიკის მენეჯმენტი და ექიმების გუნდი სისტემატურად მუშაობს პაციენტის მომსახურების გაუმჯობესებაზე და შესაბამისად მაღალ რისკთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების შემცირებაზე. ასეთი სამეანო სერვისების კატეგორიას განეკუთვნება საკეისრო კვეთა. ჩვენი გუნდი აქტიურად მუშაობდა მშობიარობის საერთო რაოდენობიდან საკეისრო კვეთის წილის შესამცირებლად და შედეგად 2018 წელთან შედარებით საკეისრო კვეთა შემცირდა კიდევ 2 % პროცენტით და 2019 წლის ბოლოს შეადგინა 29, 8 %.



2019 წელს კლინიკაში სულ დასაქმებული იყო 308 ადამიანი, აქედან ექიმი: 147, საექთნო პერსონალი - 106.

კვლევის და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები.

2018 წლიდან კლინიკა არჩეული იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საპილოტე პროექტის „ციფრების მიღმა“ მონაწილედ და საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით კლინიკაში დაინერგა ჯანმოს მიერ შემოშავებული მეთოდის გამოყენებით „სიკვდილთან ახლოს მდგარი შემთხვევების განხილვის სესიები“. აღნიშნული პროექტი დღემდე წარმატებით გრძელდება და ბოლო 2 წლის განმავლობაში, შემთხვევების გარჩევებზე დაყრდობით, შემუშავდა რიგი სასარგებლო რეკომენდაცია.

კლინიკაში ხორცილედება დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი მზადება. გაგუას კლინიკა არის დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ბაზა; უნივერისტეტთან კოლაბორაციით კლინიკაში ტარდება უწყვეტი სამედიცინო განათლების მოდულები. ასევე, კლინიკას აქვს სარეზიდენტურო პროგრამა, რომელშიც ამ ეტაპზე ჩართულია 8 რეზიდენტი. კლინიკის ექიმები და რეზიდენტები, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამედიცინო კონფერენციებში.

ბიზნეს მოდელი

საქართველოს დედათა და ბავშვთა ფიზიოლოგიური მდგომარეობათა მართვისა და დაავადებების მკურნალობა. ამ სფეროში სერვისების სრულმაშტაბიანი სპექტრის შეთავაზება ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების, კომფორტული გარემოს და დაბალი საბაზრო ფასების პირობებში.

სამომავლო გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება. რეალიზაციის ზრდა ახალი პირველადი პაციენტების მოზიდვის ხარჯზე.

წარმატების კრიტიკული ფაქტორები

არსებობს რამოდენიმე წარმატების კრიტიკული ფაქტორი, რომლებზეც დაფუძნებულია კომპანიის წარმატება. ესენია:

- სამედიცინო ტექნოლოგიური პროცესების, ტექნიკის მიღწევებისა და სერვისების უწყვეტი განახლება; პერსონალის უწყვეტი განათლების რეჟიმში კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა; რეალური, უალტერნატივო და ხილული ზრუნვა საქრთველოს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე.
- მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გეოგრაფიული მისადგომლობა
- გრძელვადიანი სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება პაციენტებთან და ამ ურთიერთობების შენარჩუნება სამართლიანობის და სანდოობის საფუძველზე;
- საკუთარი, საქართველოსთან მისადაგებული და ამავ დროს მოწინავე მსოფლიო ინოვაციების დანერგვის ელასტიურობა - რაც მაღალი კონკურენციის პირობებში გარკვეულ უპირატესობას უქმნის კომპანიას.
- ბრენდის სიძლიერე (საკუთარი სავაჭრო ნიშნის ჩათვლით) - სამედიცინო მომსახურების გაწევის ადგილის, ფურნიტურისა და ატრიბუტების ვიზუალური მხარე და მისი დიზაინი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ სწორედ ამ კომპანიაში სამედიცინო მომსახურების მიღების გადაწყვეტილებაზე და შესაბამისად, პროდუქტის იმიჯში ინვესტირება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მისი რეკლამირება და მიმზიდველი დიზაინის შექმნა კრიტიკულად მნიშვნელოვანია მომსახურების მასშტაბების ზრდისთვის.

<u>რისკ-ფაქტორების მიმოხილვა</u>

კომპანიის ოპერაციები დაკავშირებულია გარე რისკებთან, რომელთა რაოდენობის დადგენაც შეუძლებელია და რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ კომპანიის ოპერაციებზე მატერიალური კუთხით. ძირითადი რისკები მოყვანილია ქვემოთ (ფინანსური რისკები განხილულია ფინანსურ ანგარიშგებაში).

<u>კომპანიის წინაშე მდგარი რისკები:</u>

- **არაკეთილსინდისიერი კონკურენცია:**

სოციალური ქსელების მკვეთრად განვითარების პირობებში, ძლიერ რისკ ფაქტორად გვევლინება კონკურენტების მიერ კლინიკის და მისი ნამკურნალები პაციენტების შესახებ, განზრახ ცრუ უარყოფითი ინფორმაციების გავრცელება. რადგანაც დედათა და ბავშვტა ჯანმრთელობა უკიდურესად სენსიტიური საკითხია, ძნელი არაა ე.წ. „ფეიკნიუსების“ მეშვეობით უარყოფითი იმიჯის შექმნა, რაც გამოიწვევს კომპანიის მომსახურების გაყიდვების მკვეთრ შემცირებას.

- **ფასთწარმოქმნა და მარაგების შესყიდვა:**

შეცდომები ფასწარმოქმნაში - მომსახურების არასწორმა ფასწარმოქმნამ („გაზრდა“ / “შემცირება“) შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნეს შედეგებზე. არასწორმა ფასწარმოქმნამ შესაძლოა მყისიერად იმოქმედოს გაყიდვებზე, რენტაბელობაზე და ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიის რეპუტაციაზეც კი.
შესყიდვის პირობები - შესყიდვის განხორციელება არასტაბილურ საბაზრო პირობებში.

შპს “გაგუას კლინიკა” დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
და
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2019 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 14

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე 14

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე 16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 17

სრული შემოსავლის ანგარიშგება 18

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 19

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 20

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 21

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა 21
შენიშვნა 2. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა 21
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 21
შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები 28
შენიშვნა 5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 28
შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 28
შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 29
შენიშვნა 8. სესხები 29
შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 29
შენიშვნა 10. სხვა შემოსავალი 29
შენიშვნა 11. სხვა ხარჯი 30
შენიშვნა 12. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი) 30
შენიშვნა 13. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 30
შენიშვნა 14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31
შენიშვნა 15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები 31

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გაგუას კლინიკის დამფუძნებლებს:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს შპს "გაგუას კლინიკის" (შემდეგში, „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების (გვ. 17-31) აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან,, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2020 წლის 4 სექტემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვნასა და სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად (იხილეთ გვ. i - x), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები" - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები" - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

Baker Tilly Georgia Ltd. trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.
.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. i - x) მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.

ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
04 სექტემბერი, 2020 წელი
თბილისი, საქართველო

შპს გაგუას კლინიკა
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 4)	13,205	13,282
სულ გრძელვადიანი აქტივები	***13,205***	***13,282***
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 5)	458	311
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 6)	3,286	3,344
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 7)	837	340
სულ მიმდინარე აქტივები	***4,581***	***3,995***
სულ აქტივები	**17,786**	**17,277**
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	12,023	10,872
სულ კაპიტალი	***12,025***	***10,874***
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 8)	3,205	4,016
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	***3,205***	***4,016***
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 9)	1,741	1,542
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 8)	815	845
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	***2,556***	***2,387***
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**17,786**	**17,277**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით გაგუა - დირექტორი

შპს გაგუას კლინიკა
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31-დეკ-2019 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	15,169	13,095
სხვა შემოსავალი (შენიშვნა 10)	445	468
სულ შემოსავალი	***15,614***	***13,563***
შრომის ანაზღაურება	(8,146)	(7,028)
სამედიცინო საქონელი	(2,378)	(2,051)
ცვეთა და ამორტიზაცია	(557)	(525)
საეჭვო ვალების ცვლილება	(7)	(11)
სხვა ხარჯი (შენიშვნა 11)	(1,268)	(1,326)
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი) (შენიშვნა 12)	(359)	(621)
მოგება დაბეგვრამდე	***2,899***	***2,001***
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)	-	-
მიმდინარე წლის მოგება	***2,899***	***2,001***
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	***2,899***	***2,001***

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით გაგუა - დირექტორი

შპს გაგუას კლინიკა
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,470	15,466
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(11,771)	(10,656)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	***3,699***	***4,810***
მიღებული პროცენტი	18	17
გადახდილი პროცენტი	(407)	(554)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**3,310**	**4,273**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(313)	(629)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(313)**	**(629)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების გადახდა	(840)	(2,367)
გადახდილი დივიდენდი	(1,660)	(1,351)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**(2,500)**	**(3,718)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	**497**	**(74)**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	340	414
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	**837**	**340**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით გაგუა - დირექტორი

შპს გაგუას კლინიკა
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 01 იანვარს	**2**	**10,221**	**10,223**
სულ სრული მოგება (ზარალი) 2018 წლის განმავლობაში	-	2,001	2,001
გაცემული დივიდენდი	-	(1,351)	(1,351)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**2**	**10,871**	**10,873**
სულ სრული მოგება (ზარალი) 2019 წლის განმავლობაში	-	2,899	2,899
გაცემული დივიდენდი	-	(1,747)	(1,747)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**2**	**12,023**	**12,025**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით გაგუა - დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 4)	13,205	13,282
სულ გრძელვადიანი აქტივები	***13,205***	***13,282***
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 5)	458	311
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 6)	3,286	3,344
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 7)	837	340
სულ მიმდინარე აქტივები	***4,581***	***3,995***
სულ აქტივები	**17,786**	**17,277**
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	12,023	10,872
სულ კაპიტალი	***12,025***	***10,874***
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 8)	3,205	4,016
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	***3,205***	***4,016***
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 9)	1,741	1,542
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი (შენიშვნა 8)	815	845
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	***2,556***	***2,387***
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**17,786**	**17,277**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

_____

დავით გაგუა - დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31-დეკ-2019 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	15,169	13,095
სხვა შემოსავალი (შენიშვნა 10)	445	468
სულ შემოსავალი	***15,614***	***13,563***
შრომის ანაზღაურება	(8,146)	(7,028)
სამედიცინო საქონელი	(2,378)	(2,051)
ცვეთა და ამორტიზაცია	(557)	(525)
საეჭვო ვალების ცვლილება	(7)	(11)
სხვა ხარჯი (შენიშვნა 11)	(1,268)	(1,326)
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი) (შენიშვნა 12)	(359)	(621)
მოგება დაბეგვრამდე	***2,899***	***2,001***
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)	-	-
მიმდინარე წლის მოგება	***2,899***	***2,001***
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	***2,899***	***2,001***

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

_____

დავით გაგუა - დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2019 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,470	15,466
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(11,771)	(10,656)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	***3,699***	***4,810***
მიღებული პროცენტი	18	17
გადახდილი პროცენტი	(407)	(554)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**3,310**	**4,273**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(313)	(629)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**(313)**	**(629)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების გადახდა	(840)	(2,367)
გადახდილი დივიდენდი	(1,660)	(1,351)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**(2,500)**	**(3,718)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	**497**	**(74)**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	340	414
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	**837**	**340**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

_____

დავით გაგუა - დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 01 იანვარს	**2**	**10,221**	**10,223**
სულ სრული მოგება (ზარალი) 2018 წლის განმავლობაში	-	2,001	2,001
გაცემული დივიდენდი	-	(1,351)	(1,351)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**2**	**10,871**	**10,873**
სულ სრული მოგება (ზარალი) 2019 წლის განმავლობაში	-	2,899	2,899
გაცემული დივიდენდი	-	(1,747)	(1,747)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**2**	**12,023**	**12,025**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 04 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

_____

დავით გაგუა - დირექტორი

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გაგუას კლინიკა“ დაფუძნდა 1996 წლის 16 ივლისს. კომპანიის მესაკუთრეს წარმოადგენენ ბ-ნი დავით გაგუა, რომელიც ამავდროულად არის კლინიკის დირექტორი და ბ-ნი სპირიდონ ჯოლოხავა, რომელიც კომპანიაში იკავებს გენეტიკური სამსახურის უფროსის თანამდებობას. კომპანიას არ გააჩნია შვილობილი ან ასოცირებული კომპანიები. კომპანია არ ვაჭრობს აქციებით და არც კაპიტალის გამოსყიდვას ჰქონია ადგილი.შპს „გაგუას კლინიკა“ არის სამედიცინო დაწესებულება, მე3/მე-4 დონის კლინიკა, რომელიც საქართველოში, თბილისში პრიორიტეტულად ახორციელებს დედათა და ბავშვთა სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას.

შენიშვნა 2. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა

კომპანია ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმართვას საქართველოში. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც ართულებს საქართველოში ფუნქციონირებადი კომპანიების წინაშე მდგომ გამოწვევებს.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ საბოლოოდ რა ზეგავლენას მოახდენს ეს - ან საერთოდ მოახდენს თუ არა რაიმე ზეგავლენას - კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, აგრეთვე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1. მომზადების საფუძველი

წინადმებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად (მსს ფასს).

მსს ფასს-ს შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პროცესში წამოჭრილი გადაწყვეტილებების განხორციელების მართვას. საკითხები, რომლებიც შეიცავს გარკვეულ სირთულეებს ან საკითხები სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებული 8-ში.

3.2. უცხოური ვალუტა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შემავალი ანგარიშები განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოზე, სადაც კომპანია ოპერირებს (ფუნქციური ვალუტრა, რომელიც არის ქართული ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, ქართულ ლარსა და აშშ დოლარს, და ქართულ ლარსა და ევროს შორის, იხილეთ ქვემოთ:

	აშშ დოლარი	ევრო
01 იანვარი 2018	2.5922	3.1044
31 დეკემბერი 2018	2.6766	3.0701
31 დეკემბერი 2019	2.8677	3.2095

(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით, ქართულ ლარში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადმოიყვანება მოქმედ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბიმისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით (გაუფასურების ზარალით, თუ ამგვარს ადგილი ექნება).

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას. შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის (რომელიც კომპანიის კუთვნილი ძირითადი საშუალებებისათვის არსებითად სამიდან ხუთ წლამდეა) განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლი მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

3.4. მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღებია მომხმარებლისგან მომსახურეობისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ ჩვეულებრივ ბიზნესის კურსის ფარგლებში. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

3.7. დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტიის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინასნური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

3.8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება. ამჟამად, ყველა კომპანიის სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება ერთი წლის ფარგლებში ბალანსის დღიდან და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

3.9. შემოსავალის აღიარება

წარდგენილი შემოსავალი შედგება, მოკლე და გრძელვადიანი საკონსულტაციო კონტრაქტების ფარგლებში, გაწეული მომსახურებიდან მიღებული და მისაღები ამონაგებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც შესაძლებელია თანხების საიმედო შეფასდება და სავრაუდოა მომავალი ეკონომიკური სარგებელის შემოსვლა კომპანიაში, ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით (ე.წ. პროცენტული მეთოდით).

3.10. თანამშრომლების გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

3.11. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

3.12. ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის "გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით". რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კვოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის კომპანიამ შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე "გაშლილი ხელის მანძილის" პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი

საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს

3.13. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ფინანსურ აქტივები იყოფა სესხების და მოთხოვნების შეფასების კატეგორიებად. სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნია ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადასახდელები გარდა იმისა, რომლებიც არ არის კვოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი აისახება მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. ამ უკანასკნელის კლასიფიკაცია ხდება გრძელვადიან აქტივებად.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც "სხვა ფინანსური ვალდებულებები" და მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

3.14. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობის ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის "ჩვეულებრივი გზა") დადგენილ ვადებში, აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

3.15. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივა ამოიწურა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი "გავლითი შეთანხმება", ხოლო ამავე დროს (i) ასევე გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (ii) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებეული, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3.16. ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად ("ზარალის განმაპირობელი მოვლენები"), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინასნური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, კომპანია ამ აქტივს მიუკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს კომპანია, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მასთან დაკავშირებული გირაოს[უზრუნველყოფის საშუალების], თუ ის არსებობს, რეალიზაბადობა. შემდეგი სხვა პრინციპული კრიტერიუმები, რომელიც ასევე გამოიყენება იმის დასადგენად არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის არსებობის დასადგენად, შემდეგია:

- თანხის ნებისმიერი ნაწილი, ან შესატანი თანხის გადახდა ვადაგადაცილებულია და გვიანი გადახდა არ მიეწერება ანგარიშსწორების სიტემით გამოწვეულ დაბრკოლებას;

- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;

- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია;

- კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარის მიერ გადახდის მდგომარეობაში უარყოფითი ცვლილებაა, რაც განაპირობა მთელს ქვეყანაში, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შეცვლამ, რამაც ზეგავლენა მოახდინა კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარეზე; ან

- გირაოს ღირებულება, მისი არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შემცირდა საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმომწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტრებული ღირებულებამდე (რომელიც არ მოიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომლებიც წარმოშობილი არ ყოფილა), რომელთა დისკონტირებაც ხდება მოცემული აქტივის თავდაპირველი ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთით. დაგირავებული ფინანსური აქტივიდან სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების კალკულაციაში აისახება ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაგირავებული აქტივის უმცირესი ფასებით გაყიდვით ან შესყიდვით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა დაგირავებულ აქტივზე უფლების დაკარგვის საშიშროება.

¬იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზრალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულდება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა. შემდგომ ამოღებული თანხები, რომელიც ადრე იქნა ჩამოწერილი, დაერიცხება სხვა შემოსავლის ანგარიშს მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

3.17. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომოანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინასნურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება

შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	აქტივი და სხვა ინვენტარი	სულ
2018 წლის 01 იანვარი					
თვითღირებულება	11,106	1,183	180	1,246	**13,715**
დაგროვილი ცვეთა	(206)	(209)	(34)	(106)	**(555)**
2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით	**10,900**	**974**	**146**	**1,140**	**13,160**
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის					
შეძენები	-	536	8	103	**647**
ცვეთის ხარჯი	(308)	(115)	(12)	(90)	**(525)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,592**	**1,395**	**142**	**1,153**	**13,282**
2018 წლის 31 დეკემბერი					
თვითღირებულება	11,106	1,719	188	1,349	**14,362**
დაგროვილი ცვეთა	(514)	(324)	(46)	(196)	**(1,080)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,592**	**1,395**	**142**	**1,153**	**13,282**
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის					
შეძენები	-	444	15	21	**480**
ცვეთის ხარჯი	(308)	(144)	(13)	(92)	**(557)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,284**	**1,695**	**144**	**1,082**	**13,205**
2019 წლის 31 დეკემბერი					
თვითღირებულება	11,106	2,163	203	1,370	**14,842**
დაგროვილი ცვეთა	(822)	(468)	(59)	(288)	**(1,637)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,284**	**1,695**	**144**	**1,082**	**13,205**

კომპანიას სესხი აქვს „თიბისი ბანკში“, უზრუნველყოფაში ჩადებული აქვს მიწის ნაკვეთი - დაზუსტებული ფართობი: 2,543 კვ.მ მასზე მდგომი შენობა-ნაგებობებით, საბალანსო ღირებულებით 10,259 ლარი (2018: 10,592 ლარი).

შენიშვნა 5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2019	**31-დეკ-2018**
სამედიცინო საქონელი	338	199
სხვა მარაგები	120	112
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**458**	**311**

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-2019	**31-დეკ-2018**
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,248	3,391
სხვა დებიტორული დავალიანება	101	9
გაუფასურების ზარალის ანარიცხები	(63)	(56)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**3,286**	**3,344**

შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ნაღდი ფული სალაროში	1	15
ფული საბაკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	823	321
ფული საბაკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	13	4
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**837**	**340**

შენიშვნა 8. სესხები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
გრძელვადიანი სესხები	***3,205***	***4,016***
ბანკის სესხები	3,205	4,016
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	***815***	***845***
ბანკის სესხები	815	845
სულ სესხები	**4,020**	**4,861**

კომპანიას სესხი აქვს „თიბისი ბანკში“, უზრუნველყოფაში ჩადებული აქვს მიწის ნაკვეთი - დაზუსტებული ფართობი: 2,543 კვ.მ მასზე მდგომი შენობა-ნაგებობებით, საბალანსო ღირებულებით 10,259 ლარი (2018: 10,592 ლარი).

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	727	534
გადასახდელი ხელფასები	673	598
გადასახდელი გადასახადები	317	368
მიღებული ავანსი	24	42
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**1,741**	**1,542**

შენიშვნა 10. სხვა შემოსავალი

	2019 წელი	2018 წელი
არასამედიცინო ბლოკის რეალიზაცია	98	105
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	270	208
სხვა შემოსავალი	77	155
სულ სხვა შემოსავალი	**445**	**468**

შენიშვნა 11. სხვა ხარჯი

	2019 წელი	2018 წელი
პაციენტების კვების ხარჯი	181	126
ორგანიზაციების მომსახურება პაციენტებზე	101	139
არასამედიცინო მომსახურება	55	93
საკანცელარიო ხარჯი	38	41
კომუნიკაციის ხარჯი	22	25
დაზღვევის ხარჯი	8	9
კომუნალური ხარჯი	321	263
რემონტის ხარჯი	73	45
საგადასახადო ხარჯი	382	430
ბანკის საკომისიო	3	5
სხვადასხვა	84	150
სულ სხვა ხარჯი	**1,268**	**1,326**

შენიშვნა 12. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)

	2019 წელი	2018 წელი
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(13)	(84)
საპროცენტო შემოსავალი	18	17
საპროცენტო ხარჯი	(364)	(554)
სულ ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	**(359)**	**(621)**

შენიშვნა 13. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფულადი სახსრები		
ფული სალაროში	1	15
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე ლარში	823	321
საბანკო ნაშთევი მოთხოვნამდე უცხოურ ვალუტაში	13	4
სავაჭრო და სხვა დებტორული დავალიანება :		
სავაჭრო დებიტორული დალავიანება	3,248	3,391
სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანება	-	-
სულ ფინანსური აქტივები	**4,085**	**3,731**

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	727	534
სესხები	4,020	4,861
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,747**	**5,395**

შენიშვნა 14. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებელობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების 9იღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის მაკონტროლებელი მფლობელი არის დავით გაგუა რომელიც ფლობს კომპანიის 98 %-ს.

წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები (კომპანია მართულია დამფუძნებლების მიერ, შესაბამისად ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და მესაკუთრეებთან დაყოფილია კონკრეტულ ოპერაციაში პირთა როლის მიხედვით):

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018
ხელმღვანელობა		
აღიარებული ხარჯი	1,426	1,888
დავალიანება	122	240
მესაკუთრეები		
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	1,747	1,351

შენიშვნა 15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

COVID-19-ის პანდემია. 2020 წლის დასაწყისში ვირუსის გამოჩენამ და სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს გარემოზე მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები, მათ შორის გადაადგილების შეზღუდვებისა და დისტანციური მუშაობის მოთხოვნის სახით.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციული და ფინანსური შედეგებიდან, აგრეთვე, ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის მომენტისათვის არსებული ზოგადი და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა არ მოელის პანდემიური სიტუაციის რაიმე მყისიერსა და არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობას არ შეუძლია გამორიცხოს პანდემიური ვითარების გაუარესება, შეზღუდვების შემოღება და შედეგად, ამ ყოველივეს ნეგატიური გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ხელმძრვანელობა თვალყურს ადევნებს მიმდინარე პროცესებსა და მიიღებს ვითარების შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად დამტკიცება. ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 4 სექტემბერს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

About Baker Tilly
Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

bakertilly

Contact us
Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshev Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge